საქართველოს მთავრობის

დადგენილება №467

2018 წლის 12 სექტემბერი

ქ. თბილისი

„საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 26 ივნისის №340 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 26 ივნისის №340 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 26/06/2018, 010220000.10.003.020656) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის შემდგომ დაემატოს შემდეგი შინაარსის 2^1 პუნქტი:

„2^1. გარდა ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის უფროსის მოადგილისა, საქართველოს მთავრობის საპარლამენტო მდივანი, საქართველოს პრემიერ-მინისტრის გადაწყვეტილებით, ამავდროულად, შესაძლებელია, ასევე იყოს საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის უფროსის მოადგილე.“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ - მინისტრი **მამუკა ბახტაძე**